ოქმი:**ო02. 3724177001**

თარიღი:**25/06/2024**

ოქმი № 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2024 წელი, 25 ივნისი

ქ.ოზურგეთი

13:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, ტ. აროშიძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭამიშვილი, ვლ. ხავთასი, ნ. ურუშაძე, ნ. სარჯველაძე, ბ. ქათამაძე, შ. თავდიშვილი, გ. შილაკაძე, დ. მდინარაძე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მერის პირველი მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხსენებელი: ბ.თოიძე
   თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

   მომხსენებელი: ბ.თოიძე
   თანამომხსენებელი: გ.ღურჯუმელიძე

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის თაობაზე.

   მომხსენებელი: ბ.თოიძე
   თანამომხსენებელი: ლ. ბიგვავა

   კომისიის თავმჯდომარემ, ბ.თოიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამართლებრივი აქტის პროექტები. ვრცლად პირველ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა, თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ. აღნიშნა, რომ ბიუჯეტი შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში იზრდება 36007952,94 ლარით. შესაბამისად იზრდება

მიზნობრივი ტრანსფერით ა(ა)ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სუბსიდია 70600 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება-75000 ლარით, წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლუატაცია, სუბსიდია-12000 ლარით.

მერის პირველმა მოადგილემ, გ.ღურჯუმელიძემ განმარტება გააკეთა ,, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ" სამართლებრივი აქტის პროექტზე, აღნიშნა, რომ ეს წესი შემუშავებულია ,,რეკლამის შესახებ" და ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონების შესაბამისად და განსაზღვრავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესს.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხზე, ვრცლად ისაუბრა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლ.ბიგვავამ. აღნიშნა, რომ ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამას" სჭირდება სერიოზული მხარდაჭერა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამას, რომელიც ფინანსდება როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალური ბიუჯეტებიდან. პროგრამას ახორციელებენ მუნიციპალიტეტები. პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სოფლების ინფრასტრუქტურის განვითარება და მოსახლეობის მაღალი ჩართულობა ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში. კომისიის წევრებმა განიხილეს სამართლებრივი აქტების პროექტები, იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

N1, 2, 3 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, 1, 2 საკითხები განხილვა-დამტკიცების, ხოლო N3 საკითხი ცნობად მიღების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი